

1
1962.

№ 8

თბილისი აკრილი

1962

ნიანგი

გამოცემის XXXX წელი, ფასი 20 კაპ.



ჩვენი პლანეტის დიად გაზაფხულს—
მაისს მზიანს და მაისს ვარდფენილს,
კაცობრიობის ღიმილს აკნახულს,
ზღაპრულ ოცნებებს—მზისკენ გაფრენილს.

მზიდობის დილას, მომავლის ხალისს
და ვარსკვლავების გზის გაკიდებას,
დიდება ჩვენი სამუოგლოს მაისს,
კაცობრიობის მაისს დიდება!



გაუგაჩქოლ 1 მაისს!

СЛАВА
КПСС!

Муръ Мур!

მუვილოგა
მსოფლიოს!

წინ, კომუნისტების
გაგაჩქვებისსაკენ!

სკკკ

პრეზრამა

ეძება სკკკ-ს!

სასაფლაოზედაც დგას დროდარო კარგი დარი და ერთ მშვენიერ დღეს მშვენიერი დღე იდგა ვაკის სასაფლაოზეც. ისე იცინოდა მზე, თითქო ადამიანური ცხოვრების წარმატებას დასცინისო. იცინოდა და დასციცინებდა ნაირფერადი მარმარილოს ქანდაკებებით, მემორიალური ფილებით შემკულ და ჩახერგილ საფლავებს, იცინოდა და არავინ აძლევდა ბანს. მხოლოდ ორი მესაფლავე დასდგომოდა თავზე სამიოდე თვის წინათ გათხრილ საფლავს და დამჭკნარი ვარდ—ყვავილების გვირგვინებისაგან წმენდდა. ბარ—ნიჩბებიც მოეტანათ რატომდაც, იქნება უნდა გაეწმინდათ და გაელამაზებინათ საფლავი, დაუეწყარი მიცვალებულისათვის ეცათ პატივი, დამცინავი მზისათვის ეჩვენებინათ ადამიანური ბუნების სიდიადე..



„მესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება, იმ წუთშივე მისი ჩრდილი ყველა ჩვენგანს ავიწყდება? ეხ, არ მჯერა მე ეგ რადაც..“

ბალახტიონი

ვინ იყო მიცვალებული? რა დააშავა? რაზე გადასახლეს ვაკიდან ხევში? რამდენი ხნით? რატომ დააცილეს თავისიანებს — საყვარელ დედასა და და—ძმას?

ყოვლად პატივსაცემი და უწყინარი ადამიანი იყო აწ განსვენებული და ორჯერ საფლავში ჩასვენებული ნ. ბ. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მოზარდი თაობის ჭეშმარიტ ადამიანებად აღზრდას შეაღია.

კეთილმა ადამიანებმა დედისა და და—ძმის გვერდით დასაფლავეს იგი და დროდარო აკითხავდნენ, თითო—თორღა ობოლ ცრემლს აბკურებდნენ. ყვავილებით უმკობდნენ საფლავს და ტოვებდნენ ასე მეორედ მოსვლამდე...

და აპა მოვიდნენ მეორედაც თვალბაცრემილე ბულინი... და რა ნახეს... საფლავს საცოდავად დაემჩინა პირი და მიწისაგან ჩაყლაბული ახლა ცას ჩაეყლაპა თუ სადმე გაფრენილიყო, ვერაფერი გაეგოთ. სახტად დარჩენილები სასაფლაოს დირექტორ შალვა ფურცელაძესთან გაჩნდნენ და მოითხოვეს გაგვარებინეთ, ჩვენი მიცვალებული რა იქნაო.

პატივცემული შალვა შეცბა, მაგრამ არ დაიბნა: სასაფლაოს „რუკები“ გადაქექა, ეძია, ეძია და მია-

გნო: აგერ არისო, ბატონო, ხევში ასაფლავიაო, აქ ვიწროდ იყო, იქ ლაღედ არის, თავისთვის... არაფერი შეაწუხებს, ხევში ნაკლები მიმოსვლააო.

—როგორ თუ ხევში?—გაუბნდეს და—უყვირეს პატივცემულ დირექტორს.

—როგორ თუ მიყვიროთო,—იყვირა შალვამ,—მიწა აქაც მიწაა და იქაც, დირექტორი მე ვარ და არა თქვენ, აქაურობას მე განვაგებ და მესმის საქმის ანიც და ბანიც, თქვენ რა გესმით, ხევი უკეთესია, იქ უკეთესი პაერიაო.

—რისი პაერი, რა პაერი?—შეგბედეს შალვა ბატონს,— მიცვალებულის გადასახლების უფლება ვინ მოგცათო?

—მე ჩემი მრევლიდან ვინმეს გამოსახლებლად არც სასამართლოს გადწყვეტილება მჭირია და არც პროკურორის სანქცია,—წადით მიჩივლეთ, ყურებზე ხახვი არ დამაჭრათო,—მიუგო.

პატივცემული შალვა ყაირათიანი და განათლებული კაცია. იცის, მიცვალებულისათვის რომ სულ ერთია, აქ ასაფლავია თუ იქ, მაგრამ თვითონ მისთვის ხომ არ არის სულ ერთი. აქ საფლავისათვის ადგილი თავისუფალი თუა, ამაში ფულს იძლევიან, იქ, გადაღმა, ხევში, გახერტილ გროშს არ მოგცემენ, ამიტომაც რომელიმე მიცვალებული აქედან იქით რომ გადაიყვანო, რამდენიმე მანეთით მესაფლავეებს გასტუმრებ და ახალი ასმანეთიანებით ჯიბებს დაიმშვენებ.

ჰოდა, უჩივლეს კიდეც ხევში გადასახლებული მიცვალებულის ჭირისუფლებმა პატივცემულ დირექტორს.


სასაფლაოების ტრეტის თავკაცებმა იფიქრეს, იფიქრეს, და თქვეს: შალვა საჭირო კაცია, დავსაჯოთ და სხვაგან გადავიყვანოთ, ჭირვეული ჭირისუფლებიც დამშვიდდებიან და საჭირო კაცაც შენარჩუნებული გვეყოლებაო, და ასეც მოიქცნენ: ხარს ურქინეს და სათიფვე დაადავდეს.

აფერუმ მათ ვაქცაობას!

3. ნიკოლოზი

გულახდილი პასუხი

ნახ. ზ. წერეთლისა



— მეგობარო, კარგს რას შემოგვთავაზებ?
— სხვა რესტორანში მიბრძანდით!

ნადავლები

როცა გასჭრეს დიანოზი,
მაშინ დასვეს დიაგნოზი.

—

ღვინო გვასვეს ჩქარ-ჩქარაო,
წყალ-წყალა და შაქარაო.

—

სამ ოთახში ერთი სული,
(სხვა არავინ უჭყიოდა)
ვიწროობას უჩიოდა.

—

რადიოვ ჩვენი სოფლისაგ,
მუშაობ ნება-ნებაო,
ამდენი შესვენებაო?

ლ. მარტაშვილი



ნ.ბ. ნ. მაღაზონის რედაქცია
ბიზლიძის ქ.

საბურთალოელებს უყვართ აბანო და არის იქ აბანო № 11. აბანო იმიტომ ვამბობთ, რომ აბანო ჰქვია, თორემ, ზოგჯერ, კაცს ტარიელი ჰქვია და ისეთი ჩიაა, ვეფხვსა და ლომს კი არა, ბატკანს ვერ მოერევა.

ასევეა აბანო № 11. აბანო ჰქვია, მაგრამ ისეთი ჭუჭყიანია, პატრონი რომ ჰყავდეს, თვითონ მას გაბანდა.

მატულობს მცხოვრებთა რიცხვი საბურთალოზე და, შესაბამისად, მატულობს კლიენტების რიცხვიც № 11 აბანოში.

მომსახურების ხარისხიც კლიენტთა რიცხვის ზრდის პირდაპირპროპორციულად კლებულობს.

ეს იციან აბანოს დირექტორმა ათანასე გაბუნამ და ადმინისტრატორმა დომენტი ფაცაცამ, მაგრამ, სამაგიეროდ, არ იციან, როგორ მოეგლება ამ საქმეს და ღუმან.

ისინიც ღუმან და მათი ხელქვეითებიც, მაგრამ არ ღუმან კლიენტები.

ყვირიან და აქვთ საყვირალიც...

— ცივია!—ყვირიან ერთნი.

— ცხელია!—ღრიალებენ მეორენი.

— წყალი არ მოდის!—კვივიან გასაპნულები.

თითოეულ შხაპს 2—3 კაცი ელოდება, რიგია გარეთაც, რიგია გასახდელშიც და რიგია შხაპთანაც.

არ კმარა ვენტილაცია და გაოფლილი ჭერიდან ტყაბატყუპით ცვივა ცივ-ცივი წვეთები. არსადაა საპნის დასადები და, თუ არის, დამტვრეულია უიმედოდ.

მეგანჯინე «უბლომბო» ზეწრებს იძლევა და არ იცი, შენზე ადრე ვინ შეიმშრალა მასზე ტანი.

წყალი ხშირად წყდება, ამაოდ ელიან მის მოსვლას და, თუ მოვიდა, მეორედ მოსვლად მიიჩნევენ.

ერთი გასაპნული კაცი რომ დარჩება უწყლოდ—უბედურებაა.

ორი—უფრო მეტი...

აბა მიდით და თქვენ იქონიეთ ამდენი გაძლება, ამდენი ნერვები.

აფერუმ თქვენს ვაჟკაცობას, სახელოვანო უფროსებო! რკინის ნერვებით ხართ აღჭურვილნი და ნერვების დასამშვიდებლად ცივი შხაპი სულაც არა გჭირდებათ.

ცივ წყალს, ალბათ, იმიტომ უშვებთ შხაპებიდან, რომ ცივი წყალი ნერვებს ამშვიდებს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ყველა ნერვს ცივი არ მოუხდება,

გაუფრთხილდით ადამიანთა ნერვებს № 11 აბანოს მესვეურნო და თავკაცებო!

**ქარაუშტი
მ. ამაღლოვალი.**



— რით ინახავს ამოდენა კაცი თავს?
— ნაფტალინით!

ქუჩის სწივარი

ბაწაწა ვარ, ობოლი, ბედმა დამიბრიყვა. მიმაგდეს შორს სადღაც, ქალაქის ბოლოში, ვაკის პარკის ჩრდილქვეშ და მ. ჯავახიშვილის ქუჩა მიწოდეს. ჩემი სიგრძე ასიოდე ნაბიჯი ძლივს იქნება. ხუთი წლისაც არა ვარ და რამდენი ვაი—გაგლახი გამოვიარე: ჯერ იყო და ორი—სამი წელი მუხლამდე ტალახში ჩაფლული ვეგდე, მერე, როგორც იქნა, დიდი წვალეებით გადამაფარეს ასფალტი, მაგრამ შენს მტერს, ისეთი გადაფარება. მას შემდეგ ყოველწლიურად ორ—სამჯერ მიკეთებენ ობერაციას. შემდეგ „თბილგაზმა“ მოიფიტრა მილების ჩაყრა და ბარემ სამი—ოთხი თვე მუცელ—გამოფატრული ვეგდე. მერე ასფალტის ცხელი შავი ნაჭრები დამაკერეს.

ერთხელ, ორიოდ წლის წინ, „თელასის“ ხელმძღვანელებმა ქუჩის ერთი მხარე ხმარებიდან გამოსული ბოძებით „დამიმშენეს“ და ზედ რამდენიმე დღე ეკიდა ლამპიონები. ზოგჯერ ცვლიდნენ გადაწვის სისწრაფეში გამარჯვებულ ელნათურებს და გამოცვლის შემდეგ დღითაც ხშირად ანთებდნენ, რათა ლამის დანაკლისი აენაზღაურებინათ. ახლა კი მიმატოვეს სრულიად უბატრონოდ.

შეიძლება ისიც მითხრან შენ რა ქუჩა ხარ, შენზე ორი სახლი დგას და არც ერთს შენი სახელი და ნომერი არ აწერიაო. ის კი არა, ერთ სახლს ერთ მხარეზე ფალიაშვილის ქ. № 118 აწერია. მეორე მხარეზე—ბარნოვის ქ. № 185. მეორე სახლს კი მხოლოდ ზურგი აქვს ჩემკენ მოქცეული, საიდანაც ხშირად ვივსები მიწითა და ნავით.

ისე სულ უქმად მანც არა ვარ: დღისით ტრამვაი—ტროლეიბუსების ტრესტის მიერ გამოყენებული ვარ ავტობუსების № 3, 11, 40 მარშრუტების ხანგრძლივი დასვენების პარკად. ჩემს მკერდზე ყოველთვის გაუძნრეულად დგას 3—4 ვაგონი. ლოდინით დაქანცული მოქალაქენი ფეხით მიდიან ჭავჭავაძის პროსპექტზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში ჩასასხდომად. საღამოს 11 საათიდან კი ყველა მარშრუტის ავტობუსი ერთად გასწევს საბურთალოს პარკისაკენ და მერე ვრჩები ჩემთვის მარტოდმარტო.

ამბობენ, ჩემს მკერდზე დაფენილი ასფალტი კიდევ უნდა აყარონ ამ გაზაფხულზეო, რადგან, თურმე, მიღების ჩაყრის დროს „თბილგაზისა“ და „თელასის“ ხელმძღვანელებს ყველაფერი რიგზე არ გაუკეთებიათ.

ეპ, რა ვქნა, უნდა ვიდგე და ველოდო ვიდრე ვინმე გულისხმიერი ადამიანი მომაქცევდეს ყურადღებას.

ა. კალმახაძე

ბინაა თუ გამოჯენის ქარაუშტი

ერთხელ ერთ ნაცნობს ვეწვიე, ედგა ავეჯი მრავალი; რუხი, წითელი, მოთეთრო, ნაყიდი „შემოსავალით“. ჭურჭლისთვის ორი „სერვანტი“, ავსილი ჭრელი ნივთებით, სპილო, ლღავი და პეპელა— ავეჯეულია მზითევი. საწოლი „ტიულპანია“, სასადილო კი — „მორგანი“, სამზარეულო—სპილოს ძვლის, ცხელი და ცივი ონკანით.

ჭერში ეკიდა უცხო რამ ცისფერად გადანაქარგი, ამური ლამპიონებით ვაზებში გადანახლართი. წიგნები სად ინახება?! ვერ ვნახე წიგნის კარადა, ვერც წიგნი აღმოვაჩინე, ვერც ლექსი, ვერცა ბალადა. ალბათ თუ იყო ნაცნობი განათლებასთან მწყურაღადა.

ბინა მიხნიაშვილი

შეიძლება გვისაყვედუროს კიდევ ალექსანდრე გონგაძემ, რაღა პირველად მე მეტაკეთო. მაგრამ რას ვიზამთ, გავუძლებთ ასეთ საყვედურს. ანდა როგორ არა ვთქვათ, როცა შენი ქორწინება უდღეური გამოდგა. 1961 წ. სექტემბერში იქორწინე და 1962 წ. მარტში უკვე თავი თავისუფლად ჩასთვალე. რას ერჩოდი სტუდენტ გოგონას, რას ატყუებდი, დაუსწრებელზე ვსწავლობ და ვმუშაობ კიდევო. მართალია, ეს სიცრუე გაპატია ქალმა, მაგრამ მიტოვებას რაღას ემართლებოდი, გაწყინა ცოლის მშობლების მიერ გამოგზავნილმა გროშებმა და პურმარილმა? ჩხუბსა და ცემას რაღას ემართლები ფეხმძიმე ქალს? საჩხუბრად მარტო შენ არ ეყოფოდი, რომ სალაშქროდ შენი და და სიძეც არ მიგესია?

ვერც შენ დაიკვებნი ვაჟაკობით, ოთარ თორღაშვილო. ა. გონგაძემ ხელი მაინც მოაწერა მამაში და რეგისტრაციაში გატარდა, შენ კი ხელიც არ მოგიწერია, ისე «შექმენი» ოჯახი. ხოლო, როცა შვილი

შეგეძინა, მაშინ შეაქციე ზურგი ცოლსაც და შვილსაც, დაკისრებული ალიმენტის გადახდასაც თავს არიდებ. ფიგაროსავით ხან აქ ხარ, ხან იქ, რომ ვერ მოგძებნოს ცოლ-შვილმა.

არც შენ მინდა დაგტოვო ყურადღების გარეშე ბეჟან გელაშვილო, შენც ხომ ცოლი და ორი ბავშვი მიატოვე, მშვენივრად ცხოვრობდი გავრაში, ცოლ-შვილთან ერთად, მაგრამ, თვალი გაუმაძღარიო, ხომ გაგიგონია. ამიტომ იყო, რომ მოგეწონა გავრაში საგარაკოდ ჩამოსული ქალი და მისმა ალერსმა მიგატოვებინა ცოლ-შვილი და თბილისში ამოგაყოფინა თავი. მართალია, ახალ ცოლთან ბინაში ჩაწერა გაგიჭირდა, მაგრამ ეს დაბრკოლებაც ხომ გადალახე, თბილისის 1-ლი მაისის რაიონის მამაჩის ბიუროს დახმარებით. „შეეცოდე“ ეკ. ზაქარაიას, ანგარიში გაგიწია და პასპორტში ჩაგირტყა შტამში, თითქოს ს. კესნერთან ქორწინებაში იყავი და ამით მოიპოვე სრული უფლება გაწერილიყავი ზღვაზე გაცნობილ ქალის ბინაში. ამით იმის საშუალებაც მო-

გეცა, რომ სამსახური დაგეწყო თბილისში. მაგრამ რა, ახალ „ოჯახსაც“ ხომ არ დაუდე გული. სიდედრიც კი შემოგელახა ხელში. შემდეგ ცოლ-შვილის მოსიყვარულე კაცის როლი გაითამაშე, ისევ დაუბრუნდი ცოლ-შვილს გავრაში. ისინი თბილისში ჩამოიყვანე, გავრაში ცოლს ბინა და სამსახური დააკარგვინე, და შენ კვლავ აგარაკზე გაცნობილ ლამაზმანს დაუბრუნდი, რადგან გაიგე, რომ მან ახალი ბინა მიიღო საბურთალოსე.

სიკვდილსაც დაეწიყებინარ ვანო დანიელოვო! განა შენ ნაკლები „დამსახურება“ მიგიძღვის ოჯახისადმი სიყვარულში? რამ გაიძულა, რომ ოჯახი დაგენგრია და მიგეტოვებინა ცოლი და ორი ბავშვი. ეს რა ვაჟაკობაში ჩაგეთვლება, რომ ულუკმაპუროდ მიტოვებული ცოლი იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და ბავშვებთან თავის მშობლებთან შეეფარებინა თავი. იმას როგორღა იფიქრებდა კაცი, რომ სასამართლოს მიერ ბავშვების საზრდოდ მისჯილი ალიმენტის გადახდასაგან თავის არიდების მიზნით სულ დაიკარგებოდი. კარგი დამალობანას თამაში გცოდნია, ივან თედორეს ძეგ.

დამალობანას კაი თამაში შენც გცოდნია, გივი ყენიავე, ყენივით გამოჭიმული რომ დადიხარ. ბულალტრობა იმიტომ ისწავლე, რომ თითის ოდენა ბავშვს ლუკმა წაართვა პირიდან და კანონით მიკუთვნებული ორი ოდე გროშის გადახდას თავი აარიდო? ოჯახი უსაფუძვლოდ დაანგრე და, ამბობენ, რომ ახლა სხვებზე აცეცებ თვალებს და ახალ საკბილოს ეძებ. ოჯახს თუ არ დაუბრუნდები, ბავშვს მაინც მიხედე, გაუგზავნე მისი კუთვნილი ლუკმა.

რა უდღეურად დაიწყე შენი ცხოვრება, გურამ დევდარიანო! მოგეწონა 17 წლის, მე-9 კლასის გოგონა, მოატყუე, შეჭპირდი შენზე უკეთესს ვისა ვნახავო და ამით დაიმსახურე მისი ნდობა. ხო-

ლო, როცა მოტყუებულმა გოგონამ მილიციას მიმართა შეგეშინდა პასუხისმგებლობის და ნათესავეები დაიჭირებ, მოლაპარაკება გააჩაღე, პირობა დაუდე, ცოლად შეგირთავო. ეს შენი ფანდი იყო. ამით შეაწყვეტინე საჩივარი და ორი ოდე თვის შემდეგ კვლავ მიანებე თავი. ესაა შენი ვაჟაკობა? ამით გინდა ისახელო თავი? რა სიძეობა გცოდნია! ნეტავი იმას, ვინც შენ გენდობა ამის შემდეგ.

გული ნუ დაგწყდება, ბიძინა ღვინაშვილო, არც შენ ხარ დავიწყებული. ვის არ ახსოვს შენი რომანი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა საშუალო სკოლაშივე. ქალის მშობლებს მოსვენებას არ აძლევდი, თქვენი სიძე უნდა გავხდეთ. შენს თავს შენვე უწევდი მაჭანკლობას და რამდენჯერმე ესტუმრე კახეთში საცოლის მშობლებს, ნათესავებიც დაიხმარე და მიუხედავად დიდი უარისა, სიძე ბატონი გახდი, ცოლი შეირთე, მაგრამ ხელის მოწერა „დაგავიწყდა“ და მალე ისიც დაივიწყე, რომ ცოლი გყავდა და არხეინად დასეირნობ შენს ნებაზე. ახლოს აღარ ეკარები ცოლსა და მოყვრებს.

არ მინდოდა მეხსენებინე გიორგი ერვანდის ძე ხაჩატურიანო, მაგრამ, ვაითუ მისაყვედურო, მე კაცებში რატომ არ ჩამთვალაო. განა შენ ნაკლები „გმირობა“ გაქვს ჩადენილი. შენ არ იყავი, რომ შეუჩნდი სოფლიდან ჩამოსულ გოგონას, ეფიცებოდი სიყვარულს, პირდებოდი ბედნიერებას, ნდობა დაიმსახურე და დაითანხმე, ცოლად წამოგყოლოდა და სახლშიაც მიიყვანე. რეგისტრაციაში გატარებას კი აჭიანურებდი, ეგ ფორმალური ამბავია, მთავარია სიყვარულიო. მალე ბავშვიც შეგეძინათ, მაგრამ ხელის მოწერაზე მაინც უარი განაცხადე.

გული არ დაგწყდეთ, „უიღბლო“ სიძებო, თქვენ მარტონი არა ხართ, სამწუხაროდ, კიდევ გყავთ კოლეგები და იმათზე შემდეგ მოგახსენებთ.

რიგ-რიგობით, ყმაწვილებო, ყველა ერთად არ იქნება.

გ. ხმალაძე,

ნ.ხ. ჯ. ლოლუასი



— ისევ ნიშნავენ არქიფოს საწყობის გამგედ?!
— ღირექტორმა კარგად მიიღო და დანიშნავს, აბა რას იზამს!

224
261
62



როგორ გამოიყურება ზოგიერთი უფლოო სახლის ფასადი კვირა დღეს.

საზოგადოებრივი

ჩემს ამხანაგს სიმამრი გარდაეცვალა და, ცხადია, პანაშვიდზე ყველამ მოვიყარეთ თავი. პანაშვიდი გახსნა მელდუღუკეთა ტრიომ. „რას, დეა, ტრიო“. თვალი ჩაუკრა დამჭაშვებს ავლაბრულმა ტიგრანამ, მერე კბილატიკივებული პაციენტივით ყბაზე მიიკრა ხელი და „წმიდა ქართულით“ შემოსძახა: „დედას ჰქონდა ერთი შულილი“.

—ისეთი რაზე იმღერე, ობლად დარჩენილ გოგონას მალამოდ მოეცნოს გულზე.—შეკვეთა მისცა ვილაყამ მდლოლეს.

—რა ჰქვია ბარიშნას?—იკითხა ტიგრანამ.

—სახელი უთხარით მარტო და ხელად გამოუგონებს ახალ ლექსს.

—თინა ჰქვია, თინა!

—მეტი აღარაფერი მითხრათ!—ყალყზე შედგა მდლოლე და იმწამსვე შეთხზა ახალი ლექსი:

„მოხვევის ქალი თინაო,
ჩემთან წამოდი შინაოოო...“

ოჯახის სიძე ყურებამდის გაწითლდა სიბრაზისაგან და ჯიბეზე იკრა ხელი.

—არ გაუშვათ, გაკოჭეთ!

—ხელები მოსტეხეთ და ველარ ესერის. —არ მომეკაროთ!—გულმოდგინედ განაგრძობდა სიძე ჯიბეების ქექვას, მერე „ჰი-პოფენე რასაც ვეძებდიო“ ჩაიღლინა, დააძრო და გაფითრებულ ტიგრანას ტეტესავით აწება შუბლზე. ტიგრანა არ დაიბნა, მოიხსნა ქულქვეშ გარჭობილი სამხანეთიანი, ჯიბისკენ წაიღო მორცხვად და სიძეს შეხედა.

—გადააბრუნე პესნა!—კბილებში გამოცრა სიძემ.

—„შენი ტოლები გათხოვდნენ, შენც უკვე გათხოვილხაროოო“.

—ეგეთი ხუმრობა აღარ გაბედო, იცოდე, მე სულიკოს მეძახიან!

—«სულიკოს საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე დაკარგულიყოო».—ახლა სიძეს გამოუგონა ახალი ლექსი და გაბრაზებულ გუნებაზე ერთი სამხანეთიანიც გააძრო ფეხსაცმელივით.

—მე მქვია თათია, მე ნათია, მე სიკო, მე კიკო.—ისმოდა შეკვეთები ყოველი მხრიდან და ტიგრანაც მტვერსასრულივით ხვეტიდა ხელის ჭუჭყს.

—ა, ძმაო, ამან უნდა თქვას, კაცი ვარო, —ტიგრანას სამი ათას ლექსამდის აქვს უკვე გამოგონილი და დიდი პოპულარობით სარგებლობენ მისი სიმღერები.

—ჯერ კიდევ ახლავარდა.

—ახალგაზრდობა კარგია, მაგრამ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ღმერთმა დაიფაროს, მარა, ერთმა უბედურმა შემთხვევამ რომ გამოგვაცალოს ხელიდან ეგ კაცა. რა ვქნათ?

—რა უნდა ვქნათ, შე კაცო, დავასაფლავოთ.

—სად?

დასმულმა კითხვამ ყველა უცებ დაგვამუნჯა. მერე ერთმა თქვა:

—ტიგრან ტიგრანოვიჩმა სამი ათასი ლექსი დაუტოვა შთამომავლობას და უნდა დაიმარხოს სადმე საპატიო ადგილზე.

—ოქროყანაში დავმარხოთ!—ვთქვი მე და ამით დამთავრდა საქმეოვიარო სხდომა.

გიგა მახვილაძე



ქართული ნაჭყალი

გადამყიდველი უშიშარ სამართებელს უშიშრად ჰყიდდა.

ყასაბს ხალათი გაურეცხავი ეცვა, სამაგიეროდ სინდისი ჰქონდა გარეცხილი.

მუხლებში ჩავარდნილი მლიქვნელი უფროსს თვალში ჩაუვარდა.

გადამყიდველი უცეცხლო თაფლს ისე ძვირად ყიდდა, რომ ცეცხლი ეკიდა.

მეღვინე ღვინოს წყალში ურევდა: სულ წყალს ხომ არ გაურეცხავ ღვინოშიო.

მგზავრმა იკითხა: ცნობათა ბიუროსად არისო—და ცნობათა ბიუროში იკითხეთ.

სურათი მრავალი ფერით იყო შესრულებული და მაინც უფერულს ეძახდნენ.

გ. შავჩიჩაშვილი



ბლიჰანის

ასეთი

უნდა

დღის პირველ ნახევარში

—ჯერ არ მოსულა სამუშაოს დაწყებას რამდენიმე წუთი აკლია!

—წუთიწუთზე აქ გაჩნდება.

—მე თვითონაც ველოდები ყოველ სეკუნდში.

—ახლახან დარეკა, ცოტა შემაგვიანდებაო...

—მოვიდა, მაგრამ ისევ საქმეზე გაიქცა.

—ობიექტზეა.

—ნახევარ საათში იქნება.

—ახლა თანამშრომლების თათბირი აქვს.

—შესვენებაზეა გასული.

დღის მეორე ნახევარში

—ჯერ ხომ არც კი დამთავრებულა შესვენება!...

—ათი წუთი რა სათქმელია. იქნებ კაცი საუზმობს...

—ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და კვება გვინდა!

—ჩქარა მოვა. თუ გნებავთ გადავცემ, რაც გინდობა.

—სამინისტროშია თათბირზე.

—ტელეფონის ნომერი დატოვეთ. ვეტყვი, რომ დავირეკოთ.

—შენობაშია აქ სადღაც. მისი შლიაპა აქ კიღია.

—ახლახან აქ იყო, მაგრამ გავიდა.

—მანქანით არის და მალე დაბრუნდება.

—ცოტა ადრე წავიდა. საქმეზე უნდა გავიარო და ბარემ იქიდანვე წავალ სახლშიო.

—ამხანაგო, სამუშაო დღე დამთავრებულია!

ზ. გიგაჩაშვილი

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ქელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянгы“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 14/IV-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 752, უფ. 02496 ტირაჟი 40000

62-224



ПРАВДА

საბჭოთავო
გაზეთი

50



ლენინურ „პრავდის“ ზეიმი არის,
ზეიმი არის მზის და სინათლის.
დღეს ნახევარი საუკუნეა
გამარჯვებული დიდი სიმართლის

ნახ. გ. ლომიძე

